პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

ბრძანება №01/20

ქ. თბილისი **31/01/2023 წ.**

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებების (ინსპექტირება) 2023 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 40^2 მუხლის მე-3 პუნქტის და „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 მარტის №04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. თანდართული სახით დამტკიცდეს „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2023 წლის გეგმის თემატიკა“ (დანართი №1).
2. თანდართული სახით დამტკიცდეს „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2023 წლის გეგმა“ (დანართი №2).
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გეგმური ინსპექტირების დეპარტამენტმა და სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტმა, ამ ბრძანების დანართი №2-ით განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმების დაწყებამდე, შემოწმების ფარგლები განსაზღვრონ ამ ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებული, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2023 წლის გეგმის თემატიკის გათვალისწინებით.
4. დაევალოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ადმინისტრაციული და ეკონომიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტს აღნიშნული ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლელა ჯანაშვილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი

დანართი №1

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2023 წლის გეგმის თემატიკა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური 2023 წლის განმავლობაში შეამოწმებს პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებას შემდეგი თემატიკით:

1. მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით:

ა) ქალები;
ბ) მიგრანტები;
გ) ახალგაზრდები;
დ) არასრულწლოვნები;
ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
ვ) სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირები.

2. სფეროების მიხედვით:

ა) შრომითი ურთიერთობები;
ბ) დისტანციური მომსახურება;
გ) თანამედროვე ტექნოლოგიები;
დ) ელექტრონული კომუნიკაციები;
ე) ფარული საგამოძიებო მოქმედებები.

3. შემდეგი სპეციფიკის მიხედვით:
ა) მონაცემთა მოცულობა;
ბ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება;
გ) მონაცემთა სუბიექტის უფლებები;
დ) მონაცემების გასაჯაროება.

დანართი №2

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2023 წლის გეგმა

№	შემოწმების ობიექტი	შემოწმების თემატიკა (ვიდეოთვალთვალი, ბიომეტრული მონაცემები, შრომითი ურთიერთობა, მონაცემთა ბაზები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები და ა.შ.).
1	ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო (MSDA)	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების პროგრამის ტექნიკური უზრუნველყოფის ფარგლებში მონაცემთა დამუშავება, მონაცემთა ბაზები, წვდომა, უსაფრთხოება, საფუძვლები, პრინციპები.
2	10 (ათი) მუნიციპალიტეტი	1. 5 მუნიციპალიტეტის ფარგლებში - ჯანმრთელობის, განათლების და სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში მონაცემთა ბაზები, წვდომა, უსაფრთხოება, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, მოწყვლადი ჯგუფები; 2. 5 მუნიციპალიტეტის ფარგლებში - შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვის მიზნით მონაცემების დამუშავება, შრომითი ურთიერთობა.
3	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვის მიზნით მონაცემების დამუშავება, შრომითი ურთიერთობა.
4	სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო	1. სოციალური რეაბილიტაციის ან/და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ფარგლებში მონაცემთა დამუშავება, საფუძვლები, პრინციპები, მონაცემთა ბაზები, უსაფრთხოება; 2. კრიზისულ ცენტრში/თავშესაფარში ქალების ან/და არასრულწლოვნების მონაცემების დამუშავება, საფუძვლები, პრინციპები, მონაცემთა ბაზები, წვდომა, უსაფრთხოება.
5	2 (ორი) საოჯახო ტიპის სახლი	საფუძვლები, პრინციპები, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მონაცემთა უსაფრთხოება.
6	სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო	საფუძვლები, პრინციპები, მონაცემთა ბაზები, უსაფრთხოება, ახალგაზრდების მონაცემების დამუშავება.

7	სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eScool-ის) მეშვეობით მონაცემების დამუშავება, საფუძვლები, პრინციპები, წვდომა, უსაფრთხოება, არასრულწლოვნების მონაცემების დამუშავება.
8	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მონაცემთა ბაზები, უსაფრთხოება, ახალგაზრდები, არასრულწლოვნები, სასწავლო პორტალის მეშვეობით მონაცემთა დამუშავება.
9	სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	მონაცემთა ბაზები, უსაფრთხოება, ახალგაზრდები, არასრულწლოვნები, სასწავლო პორტალის მეშვეობით მონაცემთა დამუშავება.
10	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მონაცემთა ბაზები, უსაფრთხოება, ახალგაზრდები, არასრულწლოვნები, სასწავლო პორტალის მეშვეობით მონაცემთა დამუშავება.
11	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ცხელი ხაზის მეშვეობით მონაცემთა დამუშავება, უსაფრთხოება.
12	საზღვარგარეთ საქართველოს 2 (ორი) გენერალური საკონსულო	საფუძვლები, პრინციპები, უსაფრთხოება, მონაცემთა ბაზები, ცხელი ხაზი.
13	2 (ორი) საჯარო დაწესებულება	საფუძვლები, პრინციპები, უსაფრთხოება, დასაქმებულთა უფლებები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები.
14	5 (ხუთი) საჯარო სკოლა	ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში ვიდეოთვალთვალის განხორციელების შესაძლო ფაქტების შესწავლა.
15	სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი	სახის ამომცნობი სისტემები; ვიდეოთვალთვალი; ბიომეტრული მონაცემები; მონაცემთა ბაზები; თანამედროვე ტექნოლოგიები.
16	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1. სახის ამომცნობი სისტემები; მობილური აპლიკაცია ბიომეტრული მონაცემები; მონაცემთა ბაზები; თანამედროვე ტექნოლოგიები. 2. დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებული პირების მონაცემების დამუშავება; ელექტრონული ბაზები.
17	იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამსახური	მოწმეების/დაზარალებულების/ბრალდებულების პერსონალური მონაცემების - სამედიცინო ჩანაწერების გამოთხოვის კანონიერების შესწავლა.

18	სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური	არასრულწლოვან და ქალ მსჯავრდებულთა მკურნალობის პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება.
19	დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	ვიდეოთვალთვალი, მონაცემებზე წვდომა, მონაცემთა უსაფრთხოება.
20	სპეციალური საგამოძიებო სამსახური	1. სხვადასხვა პირებთან დისტანციური გასაუბრების ფარგლებში მოპოვებული მონაცემების დამუშავება. ელექტრონული მონაცემები; მონაცემთა უსაფრთხოება. 2. ფარული საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შესახებ ოქმების წარმოდგენის კონტროლი.
21	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორში ვიდეოთვალთვალის განხორციელება.
22	სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო	ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლი.
23	შპს „მაგთიკომი“	„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების კონტროლი.
24	თავდაცვის სამინისტრო	მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის უფლების რეალიზების შესწავლა.
25	საქართველოს პროკურატურა	მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის უფლების რეალიზების შესწავლა.
26	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს - საგამოძიებო სამსახური	პერსონალური მონაცემების გასაჯაროების გზით დამუშავების ფაქტების შესწავლა.
27	5 (ხუთი) კერძო სკოლა	ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში ვიდეოთვალთვალის განხორციელების შესაძლო ფაქტების შესწავლა.
28	შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“ (ს/კ205050567)	მონაცემთა ბაზები, უსაფრთხოება, ახალგაზრდები, არასრულწლოვნები, სასწავლო პორტალის მეშვეობით მონაცემთა დამუშავება.
29	შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი“ (ს/ნ 445434888)	მონაცემთა ბაზები, უსაფრთხოება, ახალგაზრდები, არასრულწლოვნები, სასწავლო პორტალის მეშვეობით მონაცემთა დამუშავება.

30	სს სადაზღვევო კომპანია უნისონი (ს/ნ 404393152)	შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვის მიზნით მონაცემების დამუშავება, შრომითი ურთიერთობა.
31	სს პსპ დაზღვევა (ს/ნ 204545572)	შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვის მიზნით მონაცემების დამუშავება, შრომითი ურთიერთობა.
32	სს არდი დაზღვევა (ს/ნ404858631)	შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვის მიზნით მონაცემების დამუშავება, შრომითი ურთიერთობა.
33	5 (ხუთი) კაზინო	გამოსაცვლელ ოთახებში ვიდეოთვალთვალის განხორციელების შესაძლო ფაქტების შესწავლა.
34	2 (ორი) კერძო ორგანიზაცია	საფუძვლები, პრინციპები, უსაფრთხოება, შრომითი ურთიერთობა, მონაცემთა სუბიექტის უფლებები.
35	შპს სანნა (ს/ნ 404508154)	ფასდაკლების ბარათის მეშვეობით მონაცემების დამუშავება, მონაცემთა ბაზები, უსაფრთხოება.
36	შპს სუფთა სახლი (ს/ნ 202458893)	ფასდაკლების ბარათის მეშვეობით მონაცემების დამუშავება, მონაცემთა ბაზები, უსაფრთხოება.
37	შპს სოკარ ენერჯი ჯორჯია (ს/ნ202349440)	ფასდაკლების ბარათის მეშვეობით მონაცემების დამუშავება, მონაცემთა ბაზები, უსაფრთხოება.
38	შპს სუპერი (ს/ნ205050905)	ვებგვერდის მეშვეობით მომსახურების მიღების პროცესში მომხმარებლების მონაცემების მოპოვება და შენახვა, მონაცემთა ბაზები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები.
39	შპს ალტა რითეილი (ს/ნ 402033312)	ვებგვერდის მეშვეობით მომსახურების მიღების პროცესში მომხმარებლების მონაცემების მოპოვება და შენახვა, მონაცემთა ბაზები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები.
40	შპს ივერია ფრანსი (ს/ნ205046074)	ვებგვერდის მეშვეობით მომსახურების მიღების პროცესში მომხმარებლების მონაცემების მოპოვება და შენახვა, მონაცემთა ბაზები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები.
41	სს ლიბერთი ბანკი (ს/ნ 203828304)	ცხელი ხაზის მეშვეობით მონაცემთა დამუშავება, უსაფრთხოება.
42	სს საქართველოს ბანკი (ს/ნ 204378869)	ცხელი ხაზის მეშვეობით მონაცემთა დამუშავება, უსაფრთხოება.
43	შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი (ს/ნ404876238)	ცხელი ხაზის მეშვეობით მონაცემთა დამუშავება, უსაფრთხოება.
44	შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედექსი (ს/ნ 400058030)	დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესში მონაცემების დამუშავება, ბიომეტრული მონაცემები, თანამედროვე ტექნოლოგიები.

45	სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ (ს/ნ 205274273)	დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესში მონაცემების დამუშავება, ბიომეტრული მონაცემები, თანამედროვე ტექნოლოგიები.
46	შპს გაგუას კლინიკა (ს/ნ 201945271)	მონაცემთა ბაზები, უსაფრთხოება, წვდომა, მშობიარეთა და ახალშობილთა მონაცემების დამუშავება.
47	შპს დავით დავარაშვილის კლინიკა (ს/ნ 406131939)	მონაცემთა ბაზები, უსაფრთხოება, წვდომა, მშობიარეთა და ახალშობილთა მონაცემების დამუშავება.
48	სს ნიკორა ტრეიდი (ს/ნ 206255808)	წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დასაქმების მსურველი პირების მონაცემების დამუშავება.
49	შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“ (ს/ნ 404923749)	წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დასაქმების მსურველი პირების მონაცემების დამუშავება.
50	[redacted]	საფუძვლები, პრინციპები, მონაცემთა ბაზები, უსაფრთხოება.